ხელშეკრულება № 127
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

14 აგვისტო 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგნილი გამგებლის რობიზონ გვენეტაძის სახით და მეპორე მხრივ, შ.პ.ს. "ცხრაჯვარი 2009" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ტარიელ აბესაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. CVP კლასიფიკატორის კოდი 34300000.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია ა/მანქანის (OK-001-RB, LCL-898, SAK-052) სათადარიგო ნაწილების მოწოდება (შემდგომში „საქონელი")

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი შალვა გაბრიაძე.

5. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3

5.2. საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით

8.4. ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 14 აგვისტოდან და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“	შ.პ.ს. "ცხრაჯვარი 2009
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №3	ქ. ტყიბული, N1 სკოლის მიმდებარე ტერიტ.
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259	საიდენთიფიკაციო კოდი 219638612
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. "საწართველოს ბანკი" ბ.კ.BAGAGE22
	ა.ა. GE81BG0000000943536200

შემსყიდველი